შპს ექსპორტ +

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლისათვის

შპს ექსპორტ +
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		2,449,372	2,450,009	636
არამატერიალური აქტივები		1,316	680	680
გაცემული გრძელვადიანი სესხი	6		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,450,689	2,450,689	1,316
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	1,502,555	1,111,379	1,479,344
გაცემული სესხი	6			334,720
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	721,282	2,139,462	2,104,750
ფული და ფულის ექვივალენტები	8	199,173	15,888	815,050
სულ მიმდინარე აქტივები		2,423,010	3,266,729	4,733,864
სულ აქტივები		4,873,698	5,717,418	4,735,180
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,509,401	2,208,527	719,120
სულ კაპიტალი		3,509,401	2,208,527	719,120
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი მიღებული სესხი		697,125	632,865	697,125
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		697,125	632,865	697,125
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული მოკლევადიანი სესხები	9	1,181,220	1,688,829	2,092,582
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	-563,567	1,040,004	974,632
საგადასახადო ვალდებულება	10	49,519	147,193	251,721
სულ მიმდინარე ვალდებულებები		667,172	2,876,364	3,318,935
სულ ვალდებულებები		1,364,297	3,509,229	4,016,060
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,873,698	5,717,418	4,735,180

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		15,326,186	11,339,288
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(12,910,672)	(9,441,792)
მოგება რეალიზაციიდან		2,415,514	1,897,496
ადმინისტრაციის ხარჯები	13	(748,643)	(104,027)
საოპერაციო მოგება		1,451,520	1,793,469
ფინანსური ხარჯი, ნეტო	14	(292,634)	(227,169)
არასაოპერაციო ხარჯები	15	(73,364)	(76,894)
მოგება დაბეგვრამდე		1,300,874	1,489,407
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		1,300,874	1,489,407

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ
გაუნაწილებელი მოგება 2019 წლის 01 იანვარს	719,120	719,120
წლის სრული შემოსავალი	1,489,407	1,489,407
გაცემული დივიდენდი		
გაუნაწილებელი მოგება 2019 წლის 31 დეკემბერს	2,208,527	2,208,527
წლის სრული შემოსავალი	1,300,874	1,300,874
გაუნაწილებელი მოგება 2020 წლის 31 დეკემბერს	3,509,401	3,509,401

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს ექსპორტ +
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართული ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
რეალიზაცია			
სესხის მიღება		18,084,900	13,358,990
გაცემული სესხის მიღება			
სულ შემოსული ფული		18,084,900	13,358,990
პროდუქციის შესყიდვა		-12,715,223	-7,868,772
შესყიდვასთან დაკავშიებული ხარჯები		-1,199,387	-1,345,220
გადახდილი ავანსები		-1,660,000	-854,372
საგადასახადო გადასახადები		-2,752,261	-2,060,177
ადმინისტრაციული ხარჯები		-253,911	-67,743
ძირითადი საშუალებების შეძენა			-1,525,773
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		-18,580,782	-13, 722,057
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები			
გადახდილი სესხები და პროცენტები		-567,425	-650,514
გაცემული სესხის მიღება			249,103
გაცემული სესხები			
ნეტო ფულადი ნაკადების საფინანსო საქმიანობიდან		-567,425	-401,411
კურსთაშორის სხაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე		-70,508	-34,682
ფული და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)		-637,933	-436,093
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		15,888	815,048
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		199,173	15,888

არჩილ მხეიძე
გენერალური დირექტორი

მარიამ ბიბილეიშვილი
მთავარი ბუღალტერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ექსპორტ +“ (შემდეგში კომპანია) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რეგისტრირებულია მისამართზე - მცხეთა, სოფ. აღდგომიანთკარი და მისი მართვისა და საქმიანობის განმახორციელებელი ორგანო მდებარეობს თბილისში. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს არჩილ მხეიძე.

კომპანია ეწევა გარკვეული ტიპის პროდუქტის იმპორტირებას და მის მიწოდებას კონკრეტული მომხმარებლისათვის საქათველოში. კომპანიის მიერ იმპორტირებული საქონელი არის სპეციალური ხარისხისა და მახასიათებლების მქონე შაქარი, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს რათა ვარგისი იყოს დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. აღნიშნული პროდუქტი გამიზნულია შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასთვის მისაწოდებლად და ის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საწარმოო ნედლეულს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემულ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, ეროვნულ ვალუტაში და მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა ყველაზე მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის და კარგად ასახავს კომპანიის მოვლენებისა და ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსს. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე თუ სხვა რამ არაა აღნიშნული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა გონივრულ განსჯას კომპანიის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და მისი სამომავლო გეგმების თაობაზე. გასული პერიოდების საქმიანობის შედეგად კომპანიას აქვს გაუნაწილებელი მოგება, დადებითი და მზარდი ფულადი ნაკადები, ამცირებს სავაჭრო მოთხოვნებსა და ვალდებულებებს სავაჭრო ბრუნვის მცირე ზრდის პირობებში. ამჟამად მისი ძირითადი საქმიანობა არის მოიძიოს, იმპორტირება გაუწიოს და მიაწოდოს საქონელი შპს კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას, რომელიც მისი ერთადერთი მომხმარებელია და რომლისთვისაც კომპანიის მიერ მიწოდებული საქონელი ერთ-ერთ აუცილებელ და ძირითად საწარმოო ნედლეულს წარმოადგენს. ხოლო სამომავლო გეგმები უკავშირდება ახალი მომხმარებლის დამატებას და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას სოფლის მეურნეობის დარგში. კომპანიას მოპოვებული აქვს გრძელვადიანია დაფინანსება და საანგარიშგებო პერიოდის შემგომ შეძენილი აქვს გრძელვადიანი აქტივები.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება

სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ამონაგები აღიარდება, როდესაც (ან როგორც კი) შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი ან/და მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

2017 წლის 1 იანვრამდე, მოგების გადასახადის დარიცხვა/(საკრედიტო ბრუნვა) მოიცავდა მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადს და აღიარდებოდა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი აღიარდება სხვა სრულ შემოსავლებში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან იგი დაკავშირებულია ისეთ ოპერაციებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდში, ასევე აღიარდება კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავლებში.

მიმდინარე გადასახადი იყო ის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება ან დაბრუნების უფლებაც ჰქონდა კომპანიას საგადასახადო ორგანოების მიმართ მიმდინარე და წინა პერიოდებში დასაბეგრი მოგების ან ზარალის მიხედვით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნებოდა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული იქნებოდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენამდე.

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც კომპანია (გარდა ბანკებისა, საკრედიტო კავშირებისა, სადაზღვეო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგების გადასახადს 2017 წლის 1 იანვრიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგების განაწილება ხდება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი არის აგროსილი თანხის 15% (ანუ წმინდა დივიდენდი უნდა აიგროსოს დასაკავებელი თანხით (დარიცხული დივიდენდის 5%-ით), საჭიროების შემთხვევაში, და შემდეგ გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ საწარმოებზე განაწილების დროს. 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული მოგების დივიდენდის სახით გაცემა რეზიდენტ საწარმოებზე არის გათავისუფლებული გადასახადისაგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრის ჩათვლით მიღებული მოგების დივიდენდის სახით განაწილებაზე გამოანგარიშებული გადასახდელი მოგების გადასახადი მცირდება ამავე პერიოდების მიხედვით დეკლარირებული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხებით (ჩასათვლელი თანხებით), რომელიც არ უნდა აჭარბებდეს გასანაწილებელ დივიდენდზე მოქმედი კანონმდებლობით დარიცხულ მოგების გადასახადს. ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება გასანაწილებელი დივიდენდის გამრავლებით 2008 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადზე, რომელიც იყოფა 2008 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე დაგროვილი წმინდა მოგებისა და ამავე პერიოდის წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდების სანაცვლოდ საწარმოს პარტნიორებზე გაცემულ აქციების/(წილის) ღირებულებას შორის სხვაობაზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში მოგებს გადასახადის ნაცვლად, არასაოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წამოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს განეტონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	<u>სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)</u>
პროგრამული ლიცენზია	5 წელი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. სხვა დანარჩენი ხარჯები აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს შემდეგ საპროცენტო განაკვეთებს:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო მომსახურების ვადა
	5 წელი

ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა გასვლისას მიღებულ თანხებსა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგებად ან ზარალად, როგორც „სხვა შემოსავალი“ ან „სხვა ხარჯი“.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად. ლიზინგის ვადა არის არა-გაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს ლიზინგის ხელშეკრულებით დაქირავებული აქვს აქტივი ნებისმიერი სამომავლო პირობებით, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს აქვს არჩევანი, განაგრძოს აქტივის ქირავნობა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც ლიზინგის დაწყებისას გონივრულად დაკონკრეტებულია, რომ ლიზინგის მიმღები გამოიყენებს ამ არჩევანს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხები მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე განიხილება ყველა დებიტორული მუხლის მიმართ რომლის შეფასებაც არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას კონტრაქტით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, დისკონტირებულს საპროცენტო განაკვეთით რომელიც ახლოსაა რეალურთან. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს გირაოს ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფას, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაანგარიშებისას. ამრიგად, კომპანია არ აკონტროლებს საკრედიტო რისკის ცვლილებებს, სამაგიეროდ, აღიარებს გაუფასურების ზარალის ანარიცხს.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეს აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება როდესაც იგი დაიფარება ან უქმდება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თუ მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის გადინება აქტივების შემცირებით ან ვალდებულებების ზრდით და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები მომსახურების გაწევისას აღიარდება აღიარებული შემოსავლების პროპორციულად.

ხარჯები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე, თუ მისგან აღარ არის მოსალოდნელი მომავალი შემოსავლის მიღება, ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან სცდება შემოსავლის აღიარების კრიტერიუმს.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სამომავლო ხარჯების და გადახდების რეზერვები არის განუსაზღვრელი დროის და ღირებულების არაფინანსური ვალდებულებები. ისინი ერიცხება, როდესაც კომპანიას აქვს ახლანდელი იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, და მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებლის მომცველი რესურსების გადინება საჭირო გახდება ვალდებულების დასაფარად. ამასთან, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედო შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფასდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რაც საჭიროა ვალდებულების დასაფარად გადასახადის გამოქვითვამდე მოქმედი ტარიფის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროებითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და რისკის შემცველ ვალდებულებებს. დროის გასვლის გამო რეზერვების ზრდა აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ექვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეულ გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაბამისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.